ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

შპს ახალი სკოლა  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

## ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა ჯგუფის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა. ხელმძღვანელობამ მიმოიხილა როგორც ბაზრის და ბიზნესის რისკი. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე ჯგუფს არ აქვს მოლოდინი ისეთი მნიშვნელოვანი რისკების, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის ფუნქციონირებადობაზე,

## მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა.

## ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

## კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს „ახალი სკოლის“-ს და მისი შვილობილი საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებებს 2024 წლის 31 აგვისტო მდგომარეობით. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის

ჯგუფი ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

როდესაც ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელმწიკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

კონსოლიდაციის საფუძვლები (გაგრძელება)

იმ შემთხვევაში თუ შვილობილი საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა განსხვავდება მფლობელი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკისგან, ხდება შვილობილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგების კორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის პოლიტიკასთან. ჯგუფის კომპონენტებს შორის არსებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ყველა შიდა ჯგუფური მოთხოვნა, ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას სრულად ელიმინირებას.

უცხოური ვალუტის ოპერაციები

ჯგუფის საოპერაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოური ვალუტით მიღებული არა მონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც კომპანიამ და ჯგუფმა გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

|                   | 31 აგვისტო 2024 | 31 აგვისტო 2023 |
|-------------------|-----------------|-----------------|
| ლარი/1 აშშ დოლარი | 2.6911          | 2.6292          |
| ლარი/1 ევრო       | 2.9809          | 2.8621          |

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც ჯგუფმა გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ისინი ძირითადად მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევის შედეგად წარმოიქმნება. ანგარიშგებაში არსებული მოთხოვნები ძირითადად მოიცავს მოსწავლეების მიერ სწავლის საფასურის გადაუხდელობით წარმოქმნილ მოთხოვნებს. ისინი აღირიცხება მიმდინარე აქტივებში, გარდა იმ შემთხვევისა თუ გადახდა გადავადებულია საანგარიშო თარიღის შემდეგ 12 თვეზე მეტი ვადით.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე, გადუფოლტება ან ვადაგადაცილება) იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე და ჯგუფი ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების სრულად მიღებას.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულების ან წმინდა სარეალიზაციო ღირებულებიდან უმცირესით. მარაგების ღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს მარაგების შეძენისა და მიმდინარე ადგილას გადატანისა და არსებულ მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მარაგების საპროგნოზო გასაყიდ ფასს. საკუთრებაში არსებული მარაგების არსებითი ნაწილი არის სასკოლო და სახელმძღვანელო წიგნები, რომლის მნიშვნელოვანი გაუფასურების ნიშნებიც არ არსებობს.

## მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

## საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის წმინდა დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დაწერგვით. შესაბამისად, კომპანია ყველა საგადასახადო კრედიტორულ ვალდებულებებთან ან დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს წარადგენს თითოეული საწარმოს მიხედვით, წმინდა საფუძველზე.

## ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები გარდა მიწის და შენობა-ნაგებობის მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნადებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს მათი გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

მიწა და შენობა-ნაგებობა ანგარიშგებაში წარდგენილია რეალური საბაზრო ღირებულებით, რომელიც დადგენილია და შეფასებული დამოუკიდებელი მხარის მიერ რომელსაც გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია და კომპეტენცია. ხელმძღვანელობა ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს აფასებს ხომ არ არსებობს ამ აქტივების გაუფასურების ინდიკატორები და მათი არსებობის შემთხვევაში ახორციელებს აქტივის გაუფასურებას და მიღებული შედეგების ასახვას სრული შემოსავლის ანგარიშგებაში

## პერიოდის ცვეთის ხარჯი

ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში ღირებულებაზე მათი განაწილებით:

- |                                          |           |
|------------------------------------------|-----------|
| • შენობა-ნაგებობა                        | 20 წელი   |
| • ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი | 5-7 წელი  |
| • ბიბლიოთეკის ფონდი                      | 5 წელი    |
| • სატრანსპორტო საშუალებები               | 5-10 წელი |

## არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

## გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი ჯგუფი ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ ჯგუფი მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

## სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს ჯგუფის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

## მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები მოიცავს სწავლის საფასურის წინასწარი გადახდით წარმოქმნილ ვალდებულებებს, რომელზეც ჯგუფს ჯერ არ გაუწევია შესაბამისი მომსახურება. ასევე მოიცავს იმ თანხებს, რომლებიც მოსწავლეებს წარმოექმნათ წლის ბოლოს სასწავლო პროგრამის წარმატებით დასრულების შედეგად, რაც გულისხმობს პერიოდის შემოსავლების კორექტირებას და კონტრაქტით გათვალისწინებული გადასახადის შემცირებას, რომელიც მომდევნო სასწავლო წლისთვის რეკლასიფიცირდება მიღებულ ავანსად.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში სააღრიცხვო სისტემის ცვლილებით განხორციელდა სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასურის რეკალკულაცია და გასულ საანგარიშო პერიოდებში შემოსავლად აღიარებული ვალდებულებების რეკლასიფიცირება მიღებულ ავანსებად.

## საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება მშობელი კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ მშობელი კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი ჯგუფის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა მშობელი კომპანიაზე მფლობელების მიერ.

ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

## ღივიღენდები

ღივიღენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული ღივიღენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლების გენერირება ხდება სწავლის საფასურიდან, რომელთა აღიარება ხორციელდება ხელშეკრულებისა და მისი შესაბამისი გადახდის გრაფიკის საფუძველზე. შემოსავალი იზომება, როგორც გაყიდვის შედეგად მიღებული აქტივის სამართლიანი ღირებულება. როდესაც ბარტერულ შეთანხმებაში საიმედოდ ვერ დგინდება მიღებული აქტივის ღირებულება, შემოსავალი აღიარდება იმ აქტივების ან სერვისის ღირებულებით, რომელიც ჯგუფმა და კომპანიამ გასცა ან გასწია.

ჯგუფის პერიოდის შემოსავლები მოიცავს მოსწავლეებისათვის გაწეული საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდებით წარმოქმნილ შემოსავლებს. შემოსავლის აღიარება ხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში, არსებული მოსწავლეების რაოდენობის მიხედვით იმ საკონტრაქტო ღირებულებაზე, რომელიც განსაზღვრული კლასის შესაბამისად.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კჯგუფის თანამშრომლების მიერ.

ხელფასის ხარჯი მოიცავს, როგორც ფიქსირებულ ასევე გამომუშავებულ ანაზღაურებას რომლის კალკულაციაც ხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს.

3. წინა პერიოდის გადაანგარიშებები და რეკლასიფიკაციები

ჯგუფი წინა პერიოდის მნიშვნელოვან გამორჩენილ ინფორმაციასა და შეცდომებს რეტროსპექტიულად ასწორებს ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში, რა მიზნითაც გადააფასებს წინა პერიოდის იმ შედარებით თანხებს, რომლებშიც მოხდა მონაცემის გამოტოვება ან მცდარი ასახვა და თუ შეცდომა მოხდა უფრო ადრეულ წინა პერიოდში, მაშინ გადააფასებს ამ აქტივების, ვალდებულებისა და კაპიტალის აღნიშნული ადრეული წინა პერიოდის საწყის ნაშთებს.

ჯგუფში გასულ საანგარიშო პერიოდში დაინერგა ახალი საადრიცხვო სისტემა და შესაბამისად მოხდა მოსწავლეებთან გასულ პერიოდებში გაფორმებული ხელშეკრულებების რეკალკულაცია, რამაც შეცვალა გასულ საანგარიშო პერიოდებში გაუნაწილებელი მოგების ანგარიშიდან გადახდილ ავანსებად რეკლასიფიცირებული ღირებულებები.

ცვლილება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში

| დასახელება                                | თანხა<br>ცვლილებამდე | ცვლილება    | თანხა<br>ცვლილების<br>შემდეგ |
|-------------------------------------------|----------------------|-------------|------------------------------|
| შემოსავალი საგანმანათლებლო მომსახურებიდან | 11,008,244           | 62,218      | 10,946,025                   |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი                | 454,768              | (34,815)    | 489,583                      |
| შრომის ანაზღაურება                        | (655,848)            | 8,129,074   | (8,784,922)                  |
| კომუნალური ხარჯი                          | (8,784,922)          | (8,428,740) | (356,182)                    |
| საწვავის ხარჯი                            | (356,182)            | (74,035)    | (282,147)                    |
| ცვეთა და ამორტიზაცია                      | (282,147)            | 212,091     | (494,238)                    |
| დაზღვევის ხარჯი                           | (479,774)            | (365,105)   | (114,669)                    |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი           | (114,669)            | 438,182     | (552,851)                    |
| სხვა საოპერაციო ხარჯი                     | (534,167)            | 159,990     | (694,157)                    |
| სხვა ხარჯი                                | (603,808)            | (603,808)   | -                            |
| ფინანსური შემოსავალი                      | 58,370               | (78,650)    | 137,019                      |
| ფინანსური ხარჯი                           | (89,781)             | (51,673)    | (38,108)                     |
| სხვა სრული შემოსავალი                     | 3,843,378            | 402,811     | 3,440,568                    |

შპს ახალი სკოლა  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ცვლილება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

| დასახელება                            | თანხა<br>ცვლილებამდე | ცვლილება    | თანხა<br>ცვლილების<br>შემდეგ |
|---------------------------------------|----------------------|-------------|------------------------------|
| ძირითადი საშუალებები                  | 8,310,395            | (338,795)   | 8,649,189                    |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგები        | 54,803               | 162         | 54,640                       |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები            | 561,711              | 5,889       | 555,822                      |
| გაუნაწილებელი მოგება                  | 10,110,072           | 3,466,841   | 6,643,231                    |
| გადაფასების რეზერვი                   | 3,843,378            | 402,811     | 3,440,568                    |
| გადავადებული საგადასახადო ვალდებულება | -                    | (223,551)   | 223,551                      |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები         | 210,140              | (3,889,246) | 4,099,386                    |
| გადასახდელი გადასახადები              | 13,096               | (89,598)    | 102,693                      |

ცვლილება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში

| დასახელება                                        | თანხა<br>ცვლილებამდე | კორექტირება | თანხა<br>ცვლილების<br>შემდეგ |
|---------------------------------------------------|----------------------|-------------|------------------------------|
| წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან   | (51,603)             | (235,804)   | 184,201                      |
| წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან | (86,951)             | 268,676     | (355,627)                    |
| სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან       | (2,199,001)          | (90,674)    | (2,108,327)                  |

ცვლილება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

| დასახელება                    | თანხა<br>ცვლილებამდე | კორექტირება | თანხა<br>ცვლილების<br>შემდეგ |
|-------------------------------|----------------------|-------------|------------------------------|
| ძირითადი საშუალებები          | 4,758,879            | (487,355)   | 5,246,234                    |
| გადახდილი გადასახადები        | 41,266               | 41,266      | -                            |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები    | 584,379              | 25,477      | 558,902                      |
| გაუნაწილებელი მოგება          | 12,140,734           | 4,102,111   | 8,038,623                    |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 149,755              | (4,497,546) | 4,647,301                    |
| გადასახდელი გადასახადები      | -                    | (25,177)    | 25,177                       |

შპს ახალი სკოლა  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

**შენიშვნა 4 - შემოსავალი რეალიზაციიდან**

|                                             | 8/31/2024         | 8/31/2023         |
|---------------------------------------------|-------------------|-------------------|
| შემოსავალი საგანმანათლებლო საქმიანობიდან    | 11,217,758        | 10,639,161        |
| შემოსავალი სპორტული და ხელოვნების წრეებიდან | 69,879            | 85,460            |
| შემოსავალი ვაუჩერიდან                       | 228,190           | 221,404           |
| <b>წმინდა შემოსავალი</b>                    | <b>11,515,828</b> | <b>10,946,025</b> |

**შენიშვნა 5 - სხვა საოპერაციო შემოსავალი**

|                                   | 8/31/2024      | 8/31/2023      |
|-----------------------------------|----------------|----------------|
| შემოსავალი იჯარიდან               | 325,158        | 432,819        |
| შემოსავალი წიგნების რეალიზაციიდან | 36,895         | 56,764         |
| <b>სხვა საოპერაციო შემოსავალი</b> | <b>362,053</b> | <b>489,583</b> |

**შენიშვნა 6 - საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი**

|                                             | 8/31/2024      | 8/31/2023      |
|---------------------------------------------|----------------|----------------|
| საგადასახადო ხარჯი                          | 128,255        | 150,662        |
| კომუნიკაციის ხარჯი                          | 74,574         | 62,299         |
| საკონსულტაციო ხარჯი                         | 60,932         | 45,106         |
| შენობა-ნაგებობის მოვლის და შენახვის ხარჯები | 314,635        | 235,872        |
| რემონტის ხარჯი                              | -              | 1,034          |
| რეკლამის ხარჯი                              | 7,418          | 1,868          |
| ტრენინგის ხარჯი                             | 14,156         | 18,410         |
| სხვა საერთო ხარჯი                           | 52,889         | 37,600         |
| <b>სულ ადმინისტრაციული ხარჯი</b>            | <b>652,858</b> | <b>552,851</b> |

**შენიშვნა 7 - სხვა საოპერაციო ხარჯი**

|                                 | 8/31/2024      | 8/31/2023      |
|---------------------------------|----------------|----------------|
| კვების ხარჯები                  | 305,305        | 258,253        |
| ჰიგიენური საშუალებების ხარჯები  | 53,411         | 62,298         |
| IB წლიური მომსახურების ხარჯი    | 51,282         | 50,077         |
| ონლაინ მომსახურებები            | 70,306         | 60,741         |
| გამოსაშვების ხარჯები            | 15,662         | 18,481         |
| ტურნირის ხარჯები                | 2,530          | 9,196          |
| გაყიდული/შეძენილი საქონელი      | 33,762         | 35,122         |
| გამოცდების ჩატარების ხარჯი      | 49,643         | 101,272        |
| ინვენტარის და მასალების ხარჯები | 37,401         | 56,093         |
| სხვა საოპერაციო ხარჯები         | 40,511         | 42,623         |
| <b>სხვა საოპერაციო ხარჯი</b>    | <b>659,812</b> | <b>694,157</b> |

შპს ახალი სკოლა  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

შენიშვნა 8 - ძირითადი საშუალებები

|                            | მიწა      | შენობა-<br>ნაგებობა | ოფისის<br>აღჭურვილობა | ავეჯი და<br>ინვენტარი | ბიბლიოთეკის<br>ფონდი | სატრანსპორტო<br>საშუალებები | ჯამი        |
|----------------------------|-----------|---------------------|-----------------------|-----------------------|----------------------|-----------------------------|-------------|
| თვითღირებულება             | 451,250   | 5,513,161           | 515,329               | 261,850               | 615,137              | 116,030                     | 6,829,770   |
| დაგროვილი ცვეთა            | -         | (1,349,537)         | (397,741)             | (263,124)             | (201,194)            | (14,927)                    | (1,741,102) |
| ბალანსი 31/8/2022          | 451,250   | 4,163,624           | 117,589               | (1,274)               | 413,943              | 101,103                     | 5,246,234   |
| დანამატები                 | -         | 268,261             | 92,964                | 11,790                | 98,668               | 390                         | 472,073     |
| აქტივების ჩამოწერა         | -         | -                   | -                     | -                     | (15,059)             | -                           | (15,059)    |
| ცვეთა პერიოდისათვის        | -         | (327,117)           | (64,507)              | (21,048)              | (74,768)             | (7,186)                     | (494,626)   |
| აქტივის აფასება            | 2,511,910 | 928,657             | -                     | -                     | -                    | -                           | 3,440,568   |
| ჩამოწერილი აქტივების ცვეთა | -         | -                   | -                     | -                     | -                    | -                           | -           |
| ბალანსი 31/8/2023          | 2,963,160 | 5,033,425           | 146,046               | (10,532)              | 422,784              | 94,306                      | 8,649,189   |
| დანამატები                 | -         | -                   | 66,894                | 10,108                | 58,711               | 9,309                       | 145,022     |
| აქტივების ჩამოწერა         | -         | -                   | -                     | -                     | (2,988)              | -                           | (2,988)     |
| ცვეთა პერიოდისათვის        | -         | (348,920)           | (71,436)              | (19,136)              | (77,806)             | (12,073)                    | (529,371)   |
| ჩამოწერილი აქტივების ცვეთა | -         | -                   | -                     | -                     | -                    | -                           | -           |
| ბალანსი 31/8/2024          | 2,963,160 | 4,684,505           | 141,503               | (19,560)              | 400,701              | 91,541                      | 8,261,851   |
| ბალანსი 31/8/2023          | 2,963,160 | 5,033,425           | 146,046               | (10,532)              | 422,784              | 94,306                      | 8,649,189   |
| ბალანსი 31/8/2024          | 2,963,160 | 4,684,505           | 141,503               | (19,560)              | 400,701              | 91,541                      | 8,261,851   |

შპს ახალი სკოლა  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

**შენიშვნა 9 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები**

|                                           | 8/31/2024     | 8/31/2023     |
|-------------------------------------------|---------------|---------------|
| წიგნები და საოფისე მასალები               | 60,850        | 51,227        |
| სხვა მასალები                             | 3,783         | 3,414         |
| <b>სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები</b> | <b>64,632</b> | <b>54,640</b> |

**შენიშვნა 10 - მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან**

|                                   | 8/31/2024      | 8/31/2023      |
|-----------------------------------|----------------|----------------|
| მოთხოვნები მოსწავლეების მიმართ    | 301,596        | 173,517        |
| მომწოდებლებთან გადახდილი ავანსები | 506,938        | 334,437        |
| სხვა მიმდინარე მოთხოვნები         | 59,253         | 47,868         |
| <b>სულ მიმდინარე მოთხოვნები</b>   | <b>867,787</b> | <b>555,822</b> |

**შენიშვნა 11 - ფული და ფულადი ექვივალენტები**

|                                         | 8/31/2024        | 8/31/2023        |
|-----------------------------------------|------------------|------------------|
| ლარი საბანკო ანგარიშებზე                | 4,411,627        | 3,649,280        |
| უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე      | 2,135,006        | 2,065,896        |
| ნაღდი ფული სალაროში                     | -                | -                |
| <b>ჯამურად ნაღდი ფული სალაროში</b>      | <b>-</b>         | <b>-</b>         |
| <b>სულ ფული და ფულადი ექვივალენტები</b> | <b>6,546,633</b> | <b>5,715,176</b> |

**შენიშვნა 12 - გადაფასების რეზერვი**

უძრავი ქონების აღრიცხვა ხდება თვითღირებულების მეთოდის გამოყენებით, გასულ საანგარიშო პერიოდებში მენეჯმენტმა იმსჯელა, რომ მისი რეალური ღირებულების დადგენა და შესაბამისი წარდგენა უფრო სამართლიანად ასახავდა უძრავი ქონების ღირებულებას. შესაბამისად განხორციელდა მიწის და შენობა-ნაგებობის შეფასება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ, რომლის გავლენა ფინანსურ ანგარიშებზე მოცემულია თანდართულ ცხრილში.

|                                | 8/31/2024        | 8/31/2023        |
|--------------------------------|------------------|------------------|
| 01. სექტემბერი                 | 3,440,568        | -                |
| მიწის აფასება                  | -                | 2,511,910        |
| შენობის აფასება                | -                | 928,657          |
| <b>სულ გადაფასების რეზერვი</b> | <b>3,440,568</b> | <b>3,440,568</b> |

**შენიშვნა 13 - სასესხო ვალდებულებები**

|                                           | 8/31/2024 | 8/31/2023      |
|-------------------------------------------|-----------|----------------|
| გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი      | -         | 470,318        |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები        | -         | -              |
|                                           | -         | <b>470,318</b> |
| ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები | -         | 470,318        |
| <b>წმინდა შემოსავალი</b>                  | <b>-</b>  | <b>470,318</b> |

შპს ახალი სკოლა  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

სესხის და მასზე დარიცხული პროცენტების მოძრაობა :

|                                                     | 2024       | 2023           |
|-----------------------------------------------------|------------|----------------|
| ნასესხები ფულადი სახსრები და გადასახდელი პროცენტები | 470,318    | 1,170,616      |
| სესხზე დარიცხული პროცენტი                           | 7,617      | 38,108         |
| გადახდილი პროცენტი                                  | (7,617)    | (38,108)       |
| გადახდილი ძირი თანხა                                | (472,210)  | (667,086)      |
| დადებითი საკურსოს ხვაობა                            | 1,892      | (33,212)       |
| <b>სულ ნასესხები სახსრები</b>                       | <b>(0)</b> | <b>470,318</b> |
| გრძელვადიანი ნაწილი                                 | -          | -              |
| მოკლევადიანი ნაწილი                                 | -          | 470,318        |

შენიშვნა 14 - გადავადებული საგადასახადო ვალდებულება

გადავადებული საგადასახადო ვალდებულება წარმოადგენს საკუთარი წარმოების შენობა ნაგებობაზე ჩათვლილი დღგ\_ის თანხის აღდგენას პროპორციული წესით. მისი თავდაპირველი ღირებულება განისაზღვრა 268,261 ლარით და გადანაწილებულია 2023 წლიდან 2028 წლის ჩათვლით.

|                                                  | 8/31/2024      | 8/31/2023      |
|--------------------------------------------------|----------------|----------------|
| გრძელვადიანი საგადასახადო ვალდებულება            | 178,841        | 223,551        |
| მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება               | 44,710         | 44,710         |
| <b>სულ გადავადებული საგადასახადო ვალდებულება</b> | <b>223,551</b> | <b>268,261</b> |

შენიშვნა 15 - სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

|                                                         | 8/31/2024        | 8/31/2023        |
|---------------------------------------------------------|------------------|------------------|
| მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები | 231,767          | 46,192           |
| ვალდებულება მოსწავლეების მიმართ                         | 5,776,410        | 4,053,194        |
| მიღებული ავანსები                                       | 504,446          | -                |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>                      | <b>6,512,623</b> | <b>4,099,386</b> |

16. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში ჯგუფის მიმართ არსებული წაყენებული პრეტენზიები და არსებითი სასამართლო დავები იდენტიფიცირებული არ არის. საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა ასე გარე კონსულტაციების საფუძველზე ხელმძღვანელობის აზრია, რომ არანაირი საფუძველი შესაძლო სასამართლო პროცესის დაწყების, რომელიც გავლენას იქონიებს წარდგენილ ანგარიშგებაზე იდენტიფიცირებული არ არის.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

შპს ახალი სკოლა  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული  
**17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან**

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

- (ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);
- (ბ) შეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტიორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;
- (გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;
- (დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;
- (ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის შეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

|                                                     |         |         |
|-----------------------------------------------------|---------|---------|
| დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები:           |         |         |
| დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები:           | 2024    | 2023    |
| გადახდილი ავანსები                                  | 285,527 | 238,303 |
| მიღებული ავანსები                                   | 248,856 | -       |
| დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები: |         |         |
| დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები: | 2024    | 2022    |
| მომსახურების მიწოდება                               | 249,534 | -       |
| მომსახურების შეძენა                                 | 135,275 | 141,516 |
| მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება                     |         |         |
| მესაკუთრე/დირექტორები:                              |         |         |
| წამყვანი მენეჯმენტის ანაზღაურება                    | 620,523 | 530,952 |
| სულ მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება :               |         |         |

**18. ბალანსის შემდგომი მოვლენები**

ბალანსის შემდგომ პერიოდში მოხდა შპს „ახალი სკოლი“ \_ს შვილობილი კომპანიის რეორგანიზაცია, კერძოდ : გაუქმდა შპს „ახალი სკოლა“ \_ს მონაწილეობა შპს „საერთაშორისო სახლი“ \_ში (404401811) და ეს უკანასკნელი 2024 წლის 27 დეკემბერს შეერწყა შპს „საერთაშორისო სახლი“ \_ს (405347780). ბალანსის შემდგომ პერიოდში არ არის განხორციელებული სხვა ცვლილება, რომელიც შესაძლოა საჭიროებდეს ფინანსურ ანგარიშგებაში დამატებით წარდგენას.

შპს ახალი სკოლა

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

02 აგვისტო 2025

---

ირაკლი თოფურია

დირექტორი

„ახალი სკოლის“ მიზანია განსხვავებით სხვა კერძო სკოლებისგან, აქცენტი გააკეთოს ა რა მოსწავლეთა რიცხვის გაზრდაზე, არამედ სწავლების ხარისხის მუდმივად გაღრმავებას და გაუმჯობესებაზე.

რაც შეეხება ხარისხის გაუმჯობესებას, ამ მიმართებით ძირითადი ასპექტები რომლებზეც მოვ ახდენთ ფოკუსირებას არის :

1. განათლების ხარისხი
2. მოსწავლეთა ქცევა სკოლაში, დამოკიდებულებები სწავლისადმი
3. მოსწავლეთა პიროვნული განვითარება
4. სკოლის მენეჯმენტის სრულყოფა

### **1.განათლების ხარისხი**

სკოლა ავტორიზებულია საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაციის მიერ და იზიარებს ა მ ორგანიზაციის ფილოსოფიასა და ხედვებს.

სკოლა მუდმივად მუშაობს თავისი სასწავლო გეგმის განახლებასა და გაუმჯობესებაზე,. სასწავლო გეგმა ყველა საგანში არის თანამედროვე, ღრმა, და საინტერესო. ის თანმიმდევრულად არის დაგეგმილი და მიმართულია იმ ცოდნისა და უნარების მიღებისკენ რომელიც აუცილებელია საუკეთესო უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში სწავლისათვის .

„ახალი სკოლის“ მასწავლებლებს აქვთ თავიანთი საგნის ღრმა ცოდნა. სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მასწავლებელთა მუდმივ პროფესიულ ზრდას. თითოეულ მასწავლებელს მიეცემა საშუალება გაიაროს როგორც საერთაშორისო ბაკალავრიატის აგრეთვე სხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციების ტრეინინგები. მათ ვისაც აქვთ ინგლისური ენის ცოდნის პრობლემა, სკოლა უზრუნველყოფს ენის კურსებით. მასწავლებლები სისტემატურად, ერთად დაგეგმვენ სასწავლო მასალას საგნობრივ ჯგუფებში, სწავლების პროცესში გამოიყენებენ სწავლების უახლეს მეთოდებს. მასწავლებლები შექმნიან გარემოს, რომელიც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს ყურადღება გაამახვილონ სწავლაზე.

სკოლა მუდმივად იმუშავებს იმაზე რომ შეიძინოს/განაახლოს უახლესი ხარისხიანი სასწავლო რესურსები როგორც ადგილობრივად ისე საზღვარგარეთ.

დაწყებით საფეხურზე სკოლა დიდ ყურადღებას დაუთმობს კითხვის სწავლებას, განუვითარებს

მოსწავლეებს კითხვის სიყვარულს. კითხვის სწავლის საწყის ეტაპებზე, სკოლა შეიძენს საკით ხავ მასალებს რომლებიც დაემთხვევა მოსწავლეთა ცოდნას და ინტერესებს.

მოსწავლეთა წარმატებები აისახება საერთაშორისო და ეროვნული ტესტებისა და გამოცდები ს შედეგებში, რომლებიც დააკმაყოფილებს თითოეული ასაკობრივი ჯგუფისთვის მსოფლიო ს ტანდარტს.

### **2.მოსწავლეთა ქცევა სკოლაში, დამოკიდებულებები სწავლისადმი**

ამ საკითხებზე იმუშავებენ სკოლის ფსიქოლოგები და სპეც მასწავლებლები.

იგეგმება თანამშრომლობა თამარ გაგოშიძის ცენტრთან

სკოლის ფსიქოლოგები გაივლიან შესაბამის ტრენინგებს როგორც საქართველოში ისე საზღვა რეგრეთ.

მნიშვნელოვანია მჭიდრო კავშირის დამყარება მშობლებთან. სკოლაში ფუნქციონირებს მასწავლებელთა და მშობელთა ასოციაცია. ასოციაციის მუშაობა გაწერილია თვეების მიხედვით. მშობლებს შეხვდებიან და მათთვის საინტერესო თემებზე ისაუბრებენ როგორც სკოლის ისე მოწვეული ფსიქოლოგები.

სკოლაში მოქმედებს ანტი-ბულინგის პროგრამა.

ყოველწლიურად, სასწავლო წლის დასაწყისში, პრევენციის მიზნით სკოლაში ჩატარდება ანტი-ბულინგის კვირეული.

### **3. მოსწავლეთა პიროვნული განვითარება**

„ახალი სკოლა,, მუშაობს მოსწავლეთა პიროვნული განვითარების გეგმაზე, რომელიც გულისხმობს ცოდნას დამოკიდებულებების, უნარების, ურთიერთობებსა და ქცევის შესახებ, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც კლასში, ასევე მის გარეთ.

პროგრამა მოიცავს სააზროვნო პროცესებს, ემოციების, ღირებულებების და ურთიერთობების მართვის და ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების გამომუშავების მეთოდებს, რაც ახალგაზრდებს დაეხმარება გაუმკლავდნენ ყოველდღიურ გამოწვევებს.

სკოლის მიზანია აღზარდოს პასუხისმგებელი და აქტიური მოქალაქეები, რომლებსაც შეუძლიათ აქტიურად ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ესმოდეთ დემოკრატიის, ინდივიდუალური თავისუფლების, კანონის უზენაესობის ურთიერთპატივისცემისა და შემწყნარებლობის მნიშვნელობა.

პროგრამა იქნება მიმართული იმაზე, რომ მოსწავლეებმა გაიაზრონ თუ როგორ უნდა შეინარჩუნონ ფიზიკური ჯანმრთელობა, როგორ იკვებონ ჯანსაღად და როგორ იცხოვრონ აქტიური ცხოვრების წესი.

პროგრამის ამ მიზნების მიღწევაში დაეხმარება სკოლის ფსიქოლოგები, სკოლის ექიმები და მოწვეული სპეციალისტები. პროგრამას გაუძღვება საბაზო სკოლის პროგრამის კოორდინატორი.

### **4. სკოლის მენეჯმენტის სრულყოფა**

„ახალი სკოლის” მენეჯმენტის გეგმა არის დაგეგმვის ინსტრუმენტი, რომელიც მიზნად ისახავს ობიექტის მომავალი ოპერაციების შემუშავებას. ეს არის წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ასახავს: დაწესებულების მიზნებსა და ამოცანებს - რის მიღწევას ვცდილობთ? სტრატეგიები, რომლებიც გამოიყენება მიზნების მისაღწევად - როგორ მივაღწევთ მას?

ჩვენი სკოლის მენეჯმენტის გეგმა შედგება შემდეგი კომპონენტისგან: ესენია დაგეგმვა, ორგანიზება, კოორდინაცია და კონტროლი. ეს ცვალებადი დოკუმენტია და ყოველთვის ითვალისწინებს სკოლის საჭიროებებს, ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს.

2024-2025 წლებში ვგეგმავთ სკოლის მენეჯმენტის გეგმის სრულყოფას რაც გამოიხატება კოორდინაციისა და კონტროლის კომპონენტების გაძლიერებაში. ამ მიმართულებით დაგეგმილია კოორდინატორების დამატება (საგნების მიხედვით) და კონტროლის დამყარება (დაგეგმილია კადრების დამატება ამ მიმართებითაც).

„ახალ სკოლაში“, მუშაობა მიმდინარეობს

მშობლიური ენის და საქართველოს ისტორიის სწავლების გაუმჯობესებაზე

დაგეგმილია პროგრამის გარდმავება და თანამედროვე მეთოდების იმპლემენტაცია, შიდასა სკოლო დამხმარე სახელმძღვანელოების შექმნა:

### **ქართული ენა და ლიტერატურა**

VI-VII კლასები-2023-25 წ.წ.

VIII-IX კლასები 2024-25წ.წ.

X კლასი-2025-26წ.წ.

### **საქართველოს ისტორია**

VI-VII-VIII კლასები 2023-25წ.წ.

IX-X კლასები 2024-26წ.წ.

**იგეგმება დამხმარე რესურსების თარგმნა შიდა სასკოლო სარგებლობისთვის:**

### **მეცნიერება**

VI-VII - VIII კლასები-2023-25წ.წ.

### **მოქალაქე და საზოგადოება**

VI-VII-VIII კლასები-2023-25წ.წ.

IX-X კლასები-2024-26წ.წ.

### **რისკები**

კომპანიაზე ზემოქმედებს საბაზრო რისკები, რომელიც უკავშირდება ფასების ზრდას საქონელსა და მომსახურებაზე.

შპს ახალი სკოლა

შპს ახალი სკოლა

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

02 აგვისტო 2025

N. Amas

ირაკლი თოფურია

დირექტორი

